

დანართი 1. საპროექტო წინადადებების სრული განაცხადის ფორმა

1. ზოგადი ინფორმაცია

<p>საპროექტო წინადადების სახელწოდება</p>	<p><i>შემოთავაზებული საპროექტო წინადადების მოკლე სახელწოდება, მის შინაარსზე მითითებით:</i></p> <p>ადგილობრივი ბიზნესის სტიმულირებისა და ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში ლაბაჯოურის უბნის საავტომობილო გზისა და საფეხმავლო ხიდის რეაბილიტაცია.</p>
<p>სრიგპ-თან შესაბამისობა</p>	<p><i>გთხოვთ, მიუთითოთ სრიგპ-ს პრიორიტეტის და ღონისძიების (ქვე-ღონისძიების) დასახელება და ნომერი, რომლის ფარგლებშიც წარმოდგენილია თქვენი პროექტი :</i></p> <p>პრიორიტეტი 4 ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება ღონისძიება 4.2 ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშეწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობა დასაფინანსებელი აქტივობის ტიპი: საუბნო გზისა და საფეხმავლო ხიდის რეაბილიტაცია, რაც ბიზნესის განვითარებასა და ტურიზმის ხელშეწყობას უზრუნველყოფს.</p>
<p>საპროექტო წინადადების წარმდგენი</p>	<p><i>გთხოვთ, მიუთითოთ საპროექტო განაცხადის წარმდგენი:</i></p> <p>ვანის მუნიციპალიტეტის მერია</p>
	<p><i>ერთობლივი პროექტების შემთხვევაში, მიუთითეთ ძირითადი და პარტნიორი მუნიციპალიტეტ(ებ)ი:</i></p> <p>წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში პარტნიორები არ არიან</p>
	<p><i>გთხოვთ მიუთითოთ საპროექტო განაცხადის წარმდგენის მისამართი:</i></p> <p>იმერეთი, ვანის მუნიციპალიტეტი. ქ. ვანი თავისუფლების ქ. N65. საფოსტო ინდექსი 1900</p>
	<p><i>გთხოვთ მიუთითოთ საპროექტო განაცხადის წარმდგენის ელ.ფოსტა:</i></p> <p>URL /ვებ-გვერდი http://vani.gov.ge/, ელ.ფოსტა: vani.meria@vani.gov.ge</p>
<p>პროექტზე პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო ინფორმაცია</p>	<p><i>სახელი და გვარი:</i></p> <p>ზაზა ოჩიკვიძე</p>
	<p><i>თანამდებობა:</i></p> <p>ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.</p>
	<p><i>ტელეფონის ნომერი:</i></p> <p>+995 579 0110 41</p>

	<p>ელ.ფოსტა:</p> <p>Vani.ekonomika@gmail.com</p>
განხორციელების ადგილი	რეგიონი:
	იმერეთი
	მუნიციპალიტეტი:
	ვანი
	ქალაქი, დაბა, სოფელი:
	დიხაშხოს ადმინისტრაციული ერთეული, სოფელი ისრითი
სამიზნე ჯგუფი/ ბენეფიციარები	<p>გთხოვთ განსაზღვრეთ პროექტის სამიზნე ჯგუფი/საბოლოო ბენეფიციარები</p> <p>აღნიშნული პროექტის განხორციელებით ისარგებლებს ზოგადად რაიონის მთელი მოსახლეობა ძირითადად კი ლაბაჯოურის უბნის 80 მოსახლე და ახლომდებარე 7 სოფლის - დიხაშხოს, ისრითის, ციხისუბნის, სალხინოს, ზენობნის, ვაშლარასა და ჯვარისერის მაცხოვრებლები. შეიქმნება მცირე ბიზნესის ობიექტი, მათ შორის პირველ ეტაპზე: ორი ახალი სოჯახო სასტუმრო, ერთი კვების ობიექტი, სამი სავაჭრო და ორი მომსახურების ობიექტი.</p> <p>ტურისტული ჯგუფები და სხვა ვიზიტორების რაოდენობა გასულ 2019 წელს იყო 600 პირი. პროექტის განხორციელების შედეგად მისი რაოდენობა მოიმატებს 50 %-ით</p>
პროექტის მთლიანი ბიუჯეტი	<p>გთხოვთ, მიუთითოთ განსახორციელებლად შემოთავაზებული პროექტის სავარაუდო ღირებულება:</p> <p>262155 ლარი</p>
თანადაფინანსების ოდენობა	<p>გთხოვთ, მიუთითოთ პროექტის ღირებულების საკუთარი რესურსებიდან თანადაფინანსების პროცენტული მაჩვენებელი</p> <p>მუნიციპალიტეტი არ ახორციელებს თანადაფინანსებას</p>
პროექტის განხორციელების დრო	<p>გთხოვთ, მიუთითოთ პროექტის განხორციელების დრო (თვეების რაოდენობა):</p> <p>3 (სამი) თვე</p>
	<p>გთხოვთ მიუთითოთ განხორციელების დაწყების დაგეგმილი თარიღი (სამუშაოების ან მომსახურებების შესახებ კონტრაქტის ხელმოწერიდან):</p> <p>ივლისი 2020 წელი</p>
	<p>გთხოვთ მიუთითოთ განხორციელების დასრულების დაგეგმილი თარიღი (მიღება-ჩაბარების აქტი):</p> <p>სექტემბერი 2020 წელი</p>

2. პროექტის აღწერა და დასაბუთება

<p>პროექტის მიზანი/მიზნებია</p>	<p><i>გთხოვთ, ჩამოთვალოთ პროექტის მიზნები. მიუთითეთ სრიგპ-ს შესაბამის ღონისძიებისა და გამოცხადებული კონკურსის მიზნებთან შესაბამისობა</i></p> <p>ა) სტრატეგიული მიზანი</p> <p>მიზანი 1. მიმზიდველი საინვესტიციო გარემო ბიზნესის წამოწყებისა და განვითარებისთვის.</p> <p>მიზანი 2. ადგილობრივი მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი ეკონომიკური და სოციალური გარემოს შექმნა</p> <p>მიზანი 2. უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა.</p> <p>ბ) კონკრეტული მიზანი</p> <p>1,2 კმ სიგრძის საავტომობილო გზისა და 24 მეტრიანი საფეხმავლო ხიდის რეაბილიტაცია, რომელიც მიმართულია ბიზნესისა და ტურიზმის განვითარებისათვის.</p>
<p>მოსალოდნელი შედეგები</p>	<p><i>გთხოვთ, დაასახელოთ მოსალოდნელი შედეგები (მაქსიმუმ 2-3 შედეგი), რომელსაც პროექტის განხორციელება მოუტანს მოსახლეობას, ეკონომიკას ან მუნიციპალიტეტს. ასევე, მიუთითეთ კავშირი სრიგპ-ის შესაბამის ღონისძიების/ქვე-ღონისძიების შედეგებზე ან კონკურსის პირობებით განსაზღვრულ შედეგებზე, იმ შემთხვევაში, თუ ისინი განსაზღვრულია.</i></p> <p>ა) გრძელვადიანი შედეგი:</p> <ul style="list-style-type: none"> • განვითარებულია ადგილობრივი ბიზნესი • გაზრდილია ტურისტული პოტენციალი • შექმნილი ახალი სამუშაო ადგილები • ადგილობრივი მოსახლეობისათვის გაზრდილია შემოსავლები • გაუმჯობესებულია ცხოვრების დონე • გაზრდილია მიმზიდველობა რეგიონში ტურიზმისა და ბიზნესის კუთხით <p>ბ) მყისიერი შედეგი:</p> <ul style="list-style-type: none"> • რეაბილიტირებულია 1,2 კმ საავტომობილო გზა და 24 მ საფეხმავლო ხიდი • გამარტივებულია გადაადგილება უბნის მოსახლეობისათვის • გამარტივებულია გადაადგილება ვიზიტორებისათვის

<p>პროექტის აღწერა / დასაბუთება</p>	<p>გთხოვთ, წარმოადგინოთ პროექტის მოკლე აღწერილობა, მის სოციალურ-ეკონომიკურ როლზე და მის მიერ ადგილობრივ და რეგიონულ მასშტაბით ზეგავლენაზე აქცენტის გაკეთებით.</p> <p>გთხოვთ, დაასაბუთოთ რატომ უნდა განხორციელდეს ეს პროექტი. დაასახელოთ ის პრობლემები, რომელთა მოგვარებასაც ემსახურება პროექტის განხორციელება, პოტენციალი, რომელიც შეიძლება განვითარდეს პროექტის განხორციელებით. ასევე, მიუთითეთ შესაბამისი რეგიონის განვითარების სტრატეგიასთან, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმასთან, სხვა შესაბამის სტრატეგიულ დოკუმენტებთან ან/და სრიგპ-ში მოცემულ ღონისძიებებთან კავშირი:</p> <p>პროექტით გათვალისწინებულია საუბნო საავტომობილო გზისა და საფეხმავლო ხიდის რეაბილიტაცია /საავტომობილო გზაზე ბეტონის საფარის მოწყობით/.</p> <p>ამჟამად სოფლად არსებული გრუნტიანი გზა ტრანსპორტით მომსახურე სფეროს წარმომადგენელთათვის მეტად მოუხერხებელია. გაუარესებულია მგზავრთა გადაადგილება და ადგილობრივი მოსახლეობისათვის მიერ აღებული მოსავლის გადატანა, რამაც შესაბამისად იმოქმედა შიდა მეურნეობის განვითარებაზე, მოსახლეობა ორიენტირებული გახდა პირადი სასურსათო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე და არა სარეალიზაციო პროდუქციის წარმოებაზე. მიუხედავად, სოფელში ტურისტული ადგილების არსებობისა უგზობა ხელს უშლის ვიზიტორთა დაინტერესებას.</p> <p>უბანში, სადაც გათვალისწინებულია წარმოდგენილი პროექტის განხორციელება დგას მე-8 საუკუნის ტაძარი, რომელიც ერთ-ერთი უძველესია არამარტო ჩვენს მუნიციპალიტეტში არამედ რეგიონშიც, რომელიც პირვანდელი სახითაა შემორჩენილი და მას მრავალი დამთვალიერებელი ჰყავს, როგორც ადგილობრივი ასევე უცხოელი ტურისტის სახით.</p> <p>თავად უბანი ლაბაჯოური მდინარე სულორის ხეობაშია გაშენებული და უნიკალურია თავისი ბუნებით, მრავლადაა საპიკნიკე ადგილები, შესანიშნავი გარემოა ეკო და აგრარული ტურიზმით დაინტერესებული ადამიანებისთვის. საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება ბიძგს მისცემს ახალი საოჯახო სასტუმროების გაჩენას, შეიქმნება კვები , მომსახურებისა და ვაჭრობის ახალი ობიექტები, ვიზიტორებს შეთავაზებენ ისეთი სახის მომსახურებას, როგორცაა ცხენებით მოგზაურობა ხეობაში კურორტი სულორისა და გადიდის ტურისტული ზონის მიმართულებით და სხვა საინტერესო მარშრუტებზე.</p> <p>პროექტის განხორციელებით პირველ რიგში მოგვარდება სოფლად უბნებს შორის გადაადგილების სირთულე, რაც მოსახლეობას სტიმულს მისცემს განავითარონ შინამეურნეობა. აწარმოონ ადგილობრივი ნატურალური პროდუქცია და მარტივად მოახდინონ მისი რეალიზაცია შიდა ბაზარზე. გაიზრდება მოსახლეობის ეკონომიკური დონე. გაუმჯობესდება საყოფაცხოვრებო და სანიტარული პირობები. უბანი, რომელშიც ცხოვრობს 80 მოსახლე და მის ახლო განლაგებულია 7 სოფელი - გახდება საინტერესო, ცხოვრებისა და დასვენებისათვის ხელსაყრელი და ინვესტორებისათვის მიმზიდველი ადგილი.</p>
-------------------------------------	---

<p>ძირითადი აქტივობები</p>	<p>გთხოვთ, ჩამოთვალოთ ის ძირითადი აქტივობები, რომლებიც აუცილებელია პროექტის განსახორციელებლად და ის სამუშაოები ან მომსახურებები, რომლებიც პროექტის ფარგლებში უნდა დაფინანსდეს:</p> <p>აქტივობა 1. ტენდერის გამოცხადება:</p> <p>ქვე აქტივობა 1.1 სატენდერო კომისიის შეკრება. ქვე აქტივობა 1.2 სატენდერო პირობების განსაზღვრა. ქვე აქტივობა 1.3 ტენდერის გამოცხადება. ქვე აქტივობა 1.4 გამარჯვებულის გამოვლენა ქვე აქტივობა 1.5 ხელშეკრულების გაფორმება. ქვე აქტივობა 1.6 სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყება. ქვე აქტივობა 1.7 მიმდინარე სამუშაოებზე ზედამხედველობა. ქვე აქტივობა 1.8 სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება. ქვე აქტივობა 1.9 საექსპერტო დასკვნის მიღება. ქვე აქტივობა 1.10 დასრულებულ სამუშაოებზე მიღება-ჩაბარების გაფორმება</p> <p>აქტივობა 2. საავტომობილო გზის რეაბილიტაცია</p> <p>ქვეაქტივობა 2.1 ტრასის აღდგენა. ქვეაქტივობა 2.2 გზის დაპროფილება ავტო-გრეიდერით. ქვეაქტივობა 2.3 საფუძვლის მოწყობა ღორლით. ქვეაქტივობა 2.4 სავალი ნაწილის მოწყობა ბეტონით. ქვეაქტივობა 2.5 გვერდულების მოწყობა ქვიშა ხრეშით. ქვეაქტივობა 2.6 ბეტონის საფარის განივი გაჭრა ტემპ. ნაკერების მოსაწყობად. ქვეაქტივობა 2.7 არსებული ღია არხის ამოწმენდა. ქვეაქტივობა 2.8 მილების მოსაწყობად არხის გაჭრა. ქვეაქტივობა 2.9 ფოლადის მილების მოწყობა. ქვეაქტივობა 2.10 არსებული ფოლადის მილების გაწმენდა.</p> <p>აქტივობა 3. საცალფეხო ხიდის რეაბილიტაცია.</p> <p>ქვეაქტივობა 3.1 ხიდის სავალ ნაწილზე ფურცლოვანი ფოლადის და კიბეების მოწყობა.</p>
<p>ინდიკატორები და მიზნები</p>	<p>გთხოვთ, განსაზღვროთ ზუსტი ინდიკატორები და მათი შესაბამისი სამიზნეები, იმ ინდიკატორებზე და სამიზნეებზე მითითებით, რომლებიც გამოყენებულია სრიგპ-ს შესაბამისი ღონისძიების ფარგლებში:</p> <p>საბოლოო შედეგის ინდიკატორ(ებ)ი:</p> <p>საბოლოო შედეგის ინდიკატორ(ებ)ი:</p> <ul style="list-style-type: none"> ❖ განვითარებული ადგილობრივი ბიზნესი. ❖ ვიზიტორთა 50%-ით გაზრდილი რაოდენობა. ❖ შექმნილი ახალი სამუშაო ადგილები 8 ახალად დაარსებული მცირე ბიზნესის ობიექტიდან გამომდინარე. ❖ მოსახლეობისთვის საშუალოდ 15%-ით გაზრდილი შემოსავალი. ❖ ცხოვრებისათვის გაუმჯობესებული და ხელმისაწვდომი სოციალური ფონი

	<p>❖ რეგიონის გაზრდილი ცნობადობა და მიმზიდველობა ტურიზმისა და ბიზნესის კუთხით.</p> <p>მყისიერი შედეგის ინდიკატორ(ებ)ი:</p> <p>მყისიერი შედეგის ინდიკატორ(ებ)ი:</p> <ul style="list-style-type: none"> ❖ რეაბილიტირებული საავტომობილო გზა, დაგებული გზის სიგრძე 1,2 კმ. რომელიც მოიცავს საპარკინგე სივრცეს. ❖ რეაბილიტირებული საცალფეხო ხიდი. ❖ გამარტივებული გადაადგილება მოსახლეობისათვის. ❖ გამარტივებული გადაადგილება ვიზიტორებისათვის.
<p>სხვა პროექტებთან ურთიერთშეთავსებადობა</p>	<p>გთხოვთ, მიუთითოთ ეს პროექტი წარმოადგენს თუ არა სხვა წყაროებიდან დაფინანსებული პროექტების გაგრძელებას/გაფართოებას.</p> <p>გთხოვთ, აღწეროთ არის თუ არა ეს პროექტი ინტეგრირებული ხასიათის - ანუ ის დაკავშირებულია თუ არა სხვა განხორციელებულ, მიმდინარე ან დაგეგმილ პროექტებთან, ასევე არის თუ არა უფრო ფართო გეგმის (მაგალითად, რეგენერაციის გეგმის, სატრანსპორტო გეგმის, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის და ა.შ.) განხორციელების ნაწილი. ასეთ შემთხვევაში, გთხოვთ წარმოადგინოთ ინფორმაცია განხორციელების წყაროს, ღირებულებისა და დროის შესახებ:</p> <p>პროექტი არ წარმოადგენს სხვა წყაროებიდან დაფინანსებული პროექტების გაგრძელებას/გაფართოებას. იგი არის არსებულ სტრატეგიულ დოკუმენტთან შესაბამისობაში</p>
<p>პროექტის მდგრადობა</p>	<p>გთხოვთ, მიუთითოთ მოვლა-პატრონობისა და ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსების წყარო(ადგილობრივი ბიუჯეტი, დონორი, სხვა):</p> <p>მოვლა-პატრონობისა და ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯები დაფინანსებული იქნება ადგილობრივი ბიუჯეტით. უზრუნველყოფას მოახდენს ა(ა)იპ „ვანის კომუნალური“ სამსახური (დასუფთავება, ნარჩენების გატანა მიმდინარე შეკეთება და სხვა)</p> <p>საექსპლუატაციო პირობების შესრულებაზე საგარანტიო ვადით (3 წელი) პასუხისმგებელი იქნება სამუშაოების მომწოდებელი ორგანიზაცია</p>

3. განხორციელება და დაფინანსება

<p>პროექტის მომზადების სტატუსი</p>	<p>გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია პროექტის მომზადების სტატუსის შესახებ. გთხოვთ, მიუთითოთ მომზადებულია თუ არა საპროექტო-</p>
------------------------------------	--

	<p>სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და შესაბამისი დადებითი საექსპერტო დასკვნა</p> <p>მომზადებულია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და მიღებული აქვს შესაბამისი დადებითი საექსპერტო დასკვნა. გაფორმებულია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების აქტი ხელმოწერილია მუნიციპალიტეტის მერის მიერ.</p> <p>გთხოვთ, მიუთითოთ არსებობს თუ არა პროექტის განხორციელების თაობაზე მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილება პროექტის მოწონების და შემდგომი მსვლელობის მისაცემად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე:</p> <p>პროექტის განხორციელების თაობაზე მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2020 წლის ივნისში მიღებულია განკარგულება საგრანტო განაცხადის მოწონების და შემდგომი მსვლელობის მისაცემად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე.</p> <p>პროექტთან ერთად წარდგენილი დოკუმენტების ნუსხა (ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შესაბამისი დადებითი საექსპერტო დასკვნით, საპროექტო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების ხელმოწერილი აქტის ასლი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილება მოწონების თაობაზე, მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვის დოკუმენტი, ა.შ.):</p> <p>პროექტთან ერთად წარდგენილი დოკუმენტების ნუსხა: დანართი N2. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. დანართი N3. საექსპერტო დასკვნა. დანართი N4. საპროექტო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების აქტის ასლი. დანართი N5. მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება პროექტის მოწონების თაობაზე. დანართი N6 მოსახლეობასთან და ბიზნეს სექტორთან შეხვედრის ოქმი. დანართი N7 პროექტის წარდგენის უზრუნველყოფა.</p>
<p>დროის განრიგი</p>	<p>გთხოვთ მიუთითეთ პროექტი ერთწლიანია თუ მრავალწლიანი:</p> <p>პროექტი ერთწლიანი</p> <p>გთხოვთ მიუთითეთ კონტრაქტორთან ხელშეკრულების გაფორმების დაგეგმილი თარიღი (თვე):</p> <p>2020 წლის ივლისი</p> <p>გთხოვთ მიუთითეთ პროექტის დასრულების დაგეგმილი თარიღი:</p> <p>პროექტის დასრულება 2020 წლის სექტემბერში</p> <p>გთხოვთ, დანართ 2-ში წარმოადგინოთ განხორციელების დეტალური გეგმა აქტივობების დონეზე (გრანტის დიაგრამა):</p>

	<p>ინფორმაცია აქტივობების დონეზე განხორციელების დეტალური გეგმის შესახებ წარმოდგენილია დანართი N 2-ში.</p>
<p>პროექტის სავარაუდო ბიუჯეტი და მოთხოვნილი გრანტი (ლარი)</p>	<p>გთხოვთ, დეტალურად აღწეროთ, თუ როგორ იქნება უზრუნველყოფილი თანადაფინანსება. არის თუ არა ეს ფინანსური სახსრები უკვე გამოყოფილი გრანტის მიმღების ბიუჯეტში? გთხოვთ, შეავსოთ დანართი 2 - აქტივობების ბიუჯეტი:</p> <p>თანადაფინანსება გათვალისწინებული არ არის.</p> <p>პროექტის მთლიანი ღირებულება: 262155 ლარი</p> <p>მოთხოვნილი გრანტის მთლიანი ღირებულება: 262155 ლარი</p> <p>თანადაფინანსების ოდენობა: 0</p> <p>სხვა წყაროებიდან დაფინანსების ოდენობა: 0</p>
<p>ხარჯების კატეგორიები</p>	<p>გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია დანახარჯების კატეგორიების შესახებ, დანართი N 2 გამოყენებით:</p> <p>ინფორმაცია დანახარჯების კატეგორიის შესახებ წარმოდგენილია დანართი N 2-ში და პროექტის თანმხლებ დოკუმენტაციაში</p>
<p>რისკების მართვა</p>	<p>გთხოვთ, აღწეროთ ის პოტენციური შიდა და გარე რისკები, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ პროექტის განხორციელებაზე:</p> <p>შიდა რისკები: რისკი 1. გამოცხადებული ტენდერის მოსალოდნელი ჩავარდნა. რისკი 2. უხარისხოდ შესრულებული სამუშაო. რისკი 3. სამუშაოს განსაზღვრულ ვადებში შესრულება.</p> <p>გარე რისკები: რისკი 1. ინფლაცია. რისკი 2. ეპიდემია.</p> <p>გთხოვთ, აღწეროთ ამ რისკების შემცირების/მართვის ღონისძიებები:</p> <p>შიდა რისკების შემცირება</p> <ul style="list-style-type: none"> • ტენდერის ჩავარდნის შემთხვევაში, მისი გამოცხადება ხელმეორედ. • სამუშაოების შესრულების პერიოდში ინტენსიური მონიტორინგი. <p>გარე რისკების შემცირება</p>

	<ul style="list-style-type: none"> • ინფლაციის შემთხვევაში სუფსიდირება. • ეპიდემიების შემთხვევაში დაწესებული რეგულაციების შესრულების მოთხოვნა
--	---

4. კულტურულ, გარემოსდაცვითი და სოციალურ პრინციპებთან შესაბამისობა

შესაბამისობა ანტი დისკრიმინაციულ პრინციპთან	<p><i>გთხოვთ, აღწეროთ, რა ზემოქმედება ექნება პროექტს სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისა და გენდერულ ჯგუფებში თანასწორ მოპყრობაზე:</i></p> <p>პროექტს დისკრიმინაციულ ზემოქმედება არ ექნება სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისა და გენდერულ ჯგუფებში თანასწორ მოპყრობაზე: პროექტი უზრუნველყოფს სამართლიანობასა და თანასწორობას შშმ პირებზე და ხანდაზმულებზე, შინაარსიდან გამომდინარე იგი არ ეწინააღმდეგება ანტი დისკრიმინაციულ კანონს.</p>
გარემოზე ზემოქმედება	<p><i>გთხოვთ, აღწეროთ, თუ რა გავლენას მოახდენს პროექტების განხორციელება გარემოზე:</i></p> <p>პროექტი ნეგატიურ გავლენას არ მოახდენს გარემოზე რამდენადაც გათვალისწინებულია არსებული გზის რეაბილიტაცია, არ ხდება არსებული პარამეტრების ცვლილება და არ არის გათვალისწინებული მწვანე საფარის გაჩეხვა.</p>
პარტნიორობის პრინციპის განხორციელება	<p><i>გთხოვთ, აღწეროთ პროექტის ფარგლებში როგორ იქნება დაცული პარტნიორობის პრინციპი, როგორ არიან პარტნიორები ჩართულნი პროექტის მომზადებასა და განხორციელებაში:</i></p> <p>ადგილობრივ მოსახლეობას და ბიზნესის წარმომადგენლებს გაეცნო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წინასწარი მონაცემები, მათი მოთხოვნები და შენიშვნები აისახა საბოლოო დოკუმენტში. დოკუმენტს თან ახლავს მოსახლეობასთან და ბიზნესის წარმომადგენლებთან შეხვედრის ოქმი</p>

თარიღი:

ხელმოწერა (მთავარი) განმცხადებლის სახელით:

დანართი 2. აქტივობების ბიუჯეტი და დროის განრიგი

აქტივობების ბიუჯეტი

აქტივობა	განხორციელების დაწყება	განხორციელების დასრულება	საერთო ღირებულება ლარებში	მონაწილეობა ლარებში			სრიგპ-დან მოთხოვნილი გრანტის მოცულობა პროცენტებში პროექტის საერთო ღირებულებასთან მიმართებაში	თუ პროექტი მრავალწლიანია, გთხოვთ, წარმოადგინოთ სავარაუდო ჩაშლა წლების მიხედვით			
				გრანტი სრიგპ-დან	საკუთარი სახსრები	სხვა დაფინანსება		2020	2021	2022	2023
აქტივობა 1. საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	აგვისტო 2020	აგვისტო 2020	175875.86	175875.86			100%				
2.1 ტრასის აღდგენა	აგვისტო 2020	აგვისტო 2020	614,3	614,3			100%				
2.2 გზის დაპროფილება ავტო გრეიდერით, ქვიშა-ხრეშის დამატებით	აგვისტო 2020	აგვისტო 2020	11529.43	11529.43			100%				
2.3 საფუძვლის მოწყობა ლორღით	აგვისტო 2020	აგვისტო 2020	26692.88	26692.88			100%				
2.4 სავალი ნაწილის მოწყობა ბეტონით	აგვისტო 2020	აგვისტო 2020	123511.59	123511.59			100%				
2.5 გვერდულების მოწყობა ქვიშა-ხრეშით	აგვისტო 2020	აგვისტო 2020	11058.65	11058.65			100%				

2.6 ბეტონის საფარის განივი გაჭრა ტემპერატურული ნაკერების მოსაწყობად	აგვისტო 2020	აგვისტო 2020	1335,79	1335,79			100%				
2.7 არსებული ღია არხის ამოწმენდა	აგვისტო 2020	აგვისტო 2020	107.85	107.85			100%				
2.8 მილების მოსაწყობად არხის გაჭრა	აგვისტო 2020	აგვისტო 2020	8.49	8.49			100%				
2.9 ფოლადის მილების მოწყობა	აგვისტო 2020	აგვისტო 2020	1002.35	1002.35			100%				
2.10 არსებული ფოლადის მილების გაწმენდა	აგვისტო 2020	აგვისტო 2020	14,53	14,53			100%				
აქტივობა 2. საცალფეხო ხიდის რებილიტაცია	აგვისტო 2020	აგვისტო 2020	5685.23	5685.23			100%				
3.1 ხიდის სავალ ნაწილზე ფურცლოვანი ფოლადის და კიბეების მოწყობა	აგვისტო 2020	აგვისტო 2020	5685.23	5685.23			100%				
სულ			181561.09	181561.09			100%				
ზედნადები ხარჯები 10%			18156.11	18156.11			100%				
ჯამი			199717.2	199717.2			100%				
გეგმიური მოგება 8%			15977.38	15977.38			100%				
ჯამი			215694.6	215694.6			100%				

